სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამა „ახალი და უახლესი ისტორია“ MA Program in Modern and Contemporary History
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ისტორიის მაგისტრი MA in History
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამით ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: ა) სასწავლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი. აქედან 30 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. 30-40 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამაში შემავალი მოდულების სავალდებულო კურსებისათვის (I მოდულისთვის სავალდებულო საგნების მოცულობა შეადგენს 40 ECTS კრედიტს, ხოლო დანარჩენი მოდულებისათვის – 30 ECTS კრედიტს). 20-30 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს (I მოდულისთვის არჩევითი საგნების მოცულობა შეადგენს 20 ECTS კრედიტს – ხოლო დანარჩენი მოდულებისთვის – 30 ECTS კრედიტს). არჩევითი საგნის სახით სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს პროგრამის ნებისმიერი საგანი, მათ შორის, სხვა მოდულის სავალდებულო კურსი. ბ) კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. თეიმურაზ პაპასქირი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; • საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	*ახალი და უახლესი ისტორია არის მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, რომლისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში ყოველთვის უდიდესი იყო და დღესაც ყველაზე მეტად შესწავლადი დარგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ დარგს დაფუძნების პერიოდიდანვე ექცეოდა დიდი ყურადღება, რაც გამოიხატა კიდეც XX საუკუნის 30-იანი წლების შუახანებში ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ მსოფლიო ისტორიულ აზროვნებას, და, რასაკვირველია, დღეს, როდესაც საქართველო ესწრაფვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, მას ნამდვილად სჭირდება ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები.* *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალი და უახლესი ისტორია შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას – საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.* *ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა იყოფა ოთხ მოდულად: 1. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია; 2. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 3. შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); 4. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში. გარდა საერთო საგნებისა, თითოეულ მოდულს გააჩნია თავისი სავალდებულო და არჩევითი საგნები.* სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს • მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-მკვლევრების მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში. • მისცეს მაგისტრატურის მსმენლებს ღრმა და სისტემური ცოდნა ახალი და უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხებზე როგორც მთლიანობაში, ისე რეგიონების მიხედვით. ამას ემსახურება ის სალექციო კურსები და სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა (როგორც უშუალოდ ლექტორთან, ისე დამოუკიდებლად), რომელიც გათვალისწინებულია წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით. • ჰქონდეს კურსდამთავრებულს სრული წარმოდგენა ახალი და უახლესი ისტორიის სფეროში არსებულ ძირითად თეორიულ მიდგომებზე, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ძირითად ეტაპებზე ახალ და უახლეს პერიოდში, გლობალიზაციასა და მის თანამდევ სხვადასხვა აპექტებზე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე, ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე და ა.შ.

	• ჰქონდეს კონკრეტული ცოდნა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების, ახლო აღმოსავლეთის, შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიაზე და საერთა-შორისო ურთიერთობების საკვანძო ეტაპებზე XIX-XX საუკუნეებში. • პროფესიულ საქმიანობაში იცავდეს ეთიკურ ნორმებს; ისტორიული მოვლენების შეფასებისას და სენსიტიური თუ წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობოდეს სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს, აკადემიურ და ფართო საზოგადოებრივ წრეებში ახდენდეს ისტორიული ცოდნის პოპულარიზაციას.
სწავლის შედეგები	**ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს თეორიულ ცოდნას და გამომუშავებული აქვს პრაქტიკული უნარები, რათა გაიაზროს დარგში არსებული კონკრეტული პრობლემები, მონახოს მათი კვლევისათვის საჭირო გზები, განივითაროს კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, რაც ფუნდამენტური წინაპირობაა მისი დასაქმებისათვის, შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლისათვის და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, **ისტორია** განეკუთვნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ენების გარეშე) პროფილის დარგს/სპეციალობას. **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია **„ისტორიის მაგისტრი“** შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოთი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის განსაზღვრულ კვალიფიკაციათა კატეგორიას. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამაში ჩართული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობით (სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები) და კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) სინთეზით მიზნად დასახული ცოდნა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სამაგისტრო დონის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს და შესაბამისობაშია ისტორიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის უმაღლესი განათლების II საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები და მისი შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა,

	კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები, სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული დისციპლინები და მათი სილაბუსები, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა და სხვა დამატებითი ინფორმაცია შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას. ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი შედგება სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზნად ისახავს ახალი და უახლესი ისტორიის კომპლექსურ და საფუძვლიან შესწავლას. სასწავლო კომპონენტები განაწილებულია ყველა მოდულისთვის სავალდებულო, მოდულის სავალდებულო და არჩევით საგნებად. სასწავლო დისციპლინები ითვალისწინებს როგორც ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტებს, ისე უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამის მიერ დასახული ერთიანი სწავლის შედეგების მიღწევას. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს, გარდა სამაგისტრო ნაშრომისა, გააჩნია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა, რომელიც გაწერილია თხუთმეტ სამუშაო კვირაზე. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ, ასევე შუალედური შეფასებებისა და სხვა კრიტერიუმებით შეფასების შესახებ. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ახალი და უახლესი ისტორიის** სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გააჩნია შემდეგი კომპეტენციები:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• **ღრმად და სისტემურად მსჯელობს** ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ათვისებისა და გააზრების საფუძველზე, **ახდენს** მათ ინტერპრეტაციასა და ანალიზს, სხვადასხვა პერსპექტივიდან **ადარებს** ერთმანეთს განვითარებულ მოვლენებს და **გამოკვეთს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; • **სიღრმისეულად მიმოიხილავს** ისტორიულ მეთოდებს, **გამოკვეთს**, ტრადიციულ მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით, ისტორიული მეთოდების მნიშვნელობას ისტორიის შესწავლისას, **ახასიათებს** და **კრიტიკულად აფასებს** ისტორიის დარგში არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;

	• **განსაზღვრავს და აფიქსირებს** ისტორიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს. • **აანალიზებს** გლობალიზაციას, როგორც ისტორიულ მოვლენას და **ხსნის** მის თანმდევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალური ასპექტებს, გამოწვევებსა და დადებით მხარეებს; შედარებითი ანალიზის საფუძველზე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში **განსაზღვრავს** საქართველოს ადგილსა და როლს; • **განიხილავს** და **აანალიზებს** ახალ და უახლეს პერიოდში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ურთიერთობებს და პრობლემებს ისტორიულ კონტექსტში; **მსჯელობს** ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე; **აღწერს** აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ისტორიულ საფუძვლებს და თანამედროვე პრობლემებს; **მსჯელობს** მუსლიმთა მიგრაციაზე ევროპაში, კულტურულ ასიმილაციასა და პოლიტიკური ინტეგრაციაზე და გამოაქვს სათანადო დასკვნები; **აყალიბებს** განსხვავებულ რელიგიათა თანაარსებობისა და დიალოგის შესაძლებლობას. გარდა ამისა, მოდულების მიხედვით პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია შემდგომი კომპეტენციები: I მოდული – ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია: **ღრმად და სისტემურად სისტემურად მიმოიხილავს** საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, სსრ კავშირისა და აშშ-ს ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან ეტაპებს; **განიხილავს** და **აანალიზებს** სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ამა თუ იმ სახელმწიფოს დაწინაურების მიზეზებსა და შედეგებს. II მოდული – ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი): **ღრმად და სისტემურად მსჯელობს** ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან ეტაპებზე, **განიხილავს** და **აანალიზებს** ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიის საკვანძო პრობლემებს, **ახასიათებს** სამშვიდობო პროცესებს ახლო აღმოსავლეთში და განსაზღვრავს დასავლეთევროპული და ამერიკული დიპლომატიის როლს კონფლიქტების დარეგულირებაში; **აანალიზებს** პრინციპულ განსხვავებას ისლამს როგორც რელიგიურ სისტემასა და ისლამიზმს, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას შორის, **განსაზღვრავს** ისლამის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღის როლს და **განიხილავს** თანამედროვე ისლამური სამყაროს

	პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისლამური ფაქტორის გაძლიერების მიზეზებსა და შედეგებს, **აანალიზებს** რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების იდეოლოგიურ საფუძვლებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას მათი მოქმედების კონკრეტული რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით, **ფლობს** და **იყენებს** პოლიტიკური ისლამისათვის დამახასიათებელ ცნებით კატეგორიებსა და ტერმინოლოგიას, **აანალიზებს** ქრისტიანული საქართველოს ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის თავისებურებებს და კრიტიკულად განიხილავს ქართულ და აღმოსავლურ წყაროებს საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობების შესწავლისას; III მოდული – შორეული აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი): **ღრმად და სისტემურად მსჯელობს** ახალი და უახლეს პერიოდში შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ცალკეული მნიშვნელოვანი ეტაპებისა და სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ისტორიას, **აცნობიერებს** და **კრიტიკულად აფასებს** რბილი ძალის დადებით და უარყოფით მხარეებს შორეული აღმოსავლეთის რეგიონში. **ახდენს** ბუდიზმის ძირითადი არსის, მისი დოგმების და მიმდინარეობების ინტერპრეტაციას და შედარებით ანალიზს; IV მოდული – საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია ახალ და უახლეს პერიოდში: **ღრმად და სისტემურად მსჯელობს** XIX-XX საუკუნეების დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის საკვანძო საკითხებზე, ასევე კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა მიერ ახალ და უახლეს პერიოდში გატარებული პოლიტიკაზე; **განიხილავს** და **აანალიზებს** XIX საუკუნის ევროპული ურთიერთობების, აგრეთვე მსოფლიო ომებსშორისი პერიოდისა და „ცივი ომის“ ხანის ძირითად მოვლენებს.
გ) უნარები	• საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად **მოიძიებს** სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, **კრიტიკულად აფასებს, ახდენს** მათ სისტემატიზაციას, **განსაზღვრავს** ამა თუ იმ მოვლენების განვითარების ძირითად ფაქტორებს, **აანალიზებს** მათ და **აყალიბებს** საკუთარ დასკვნებს; • **გეგმავს** და **ახორციელებს** კვლევას შესაბამისი ისტორიული მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;

	• **წარმოადგენს** კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე; • პროფესიული საქმიანობის დროს **ახდენს** მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• **პატივს სცემს** ცალკეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებს, შეხედულებებსა და კულტურას, როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს; **იცავს** ეთიკურ ნორმებს; ისტორიული მოვლენების შეფასებისას და სენსიტიური თუ წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას **ეყრდნობა** სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს; • გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, **ახდენს ადაპტირებას** მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, **იღებს** დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას; • სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, **წერს** სამეცნიერო ნაშრომს და **შეაქვს წვლილი** დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ლექციის, სემინარის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს და აქტივობას: • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; • პრაქტიკული მეთოდი; • წიგნზე მუშაობის მეთოდი; • წერითი მუშაობის მეთოდი; • ელექტრონული სწავლება; • დემონსტრირება; • ევრისტიკული მეთოდი; • დისკუსია/დებატები; • ჯგუფური მუშაობა; • ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; • ანალიზი და სინთეზი; • გუნდური მუშაობა; • დამოუკიდებელი მუშაობა; • და სხვა. გამოყენებული მეთოდები სრულად შეესაბამება უმაღლესი სწავლების II საფეხურის დონეს, კურსების შინაარსს და სწავლის შედეგებს.

შეფასების სისტემა	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი სახის შეფასების სისტემა: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება: • ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; • ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (A) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (B) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F – 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს <u>არანაკლებ **21** ქულა.</u> გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%.
დასაქმების სფეროები	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს – ისტორიის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში), პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის სფეროში, (მათ

	შორის, სამთავრობო უწყებებში, საელჩოებში და ა.შ.) და საერთაშორისო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში და ა.შ. გარდა ამისა, ისტორიის მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება სწავლების შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სხვადასხვა მიმართულებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები: თსუ პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი; თსუ პროფესორი გიული ალასანია; თსუ პროფესორი ნანი გელოვანი; თსუ ასოცირებული პროფესორი მერაბ კალანდაძე; თსუ ასოცირებული პროფესორი ლეილა (ია) ხუბაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი ფატიმა შეყლაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი ნანა გელაშვილი; თსუ ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე; თსუ ასისტენტ პროფესორი ზაალ გოგენია; თსუ ასისტენტ პროფესორი თამარ ანთაძე; თსუ მოწვეული ლექტორი, ისტ. დოქტ. გივი ბოლოთაშვილი; თსუ მოწვეული ლექტორი, ისტ. დოქტ. მიხეილ ქართველიშვილი; თსუ მოწვეული ლექტორი, ისტ. დოქტ. კახაბერ ყალიჩავა; თსუ მოწვეული ლექტორი, სოც. მეცნ. დოქტ. სოფიო გუგუნავა; თსუ მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტ. ვეფხვია გვარამია; თსუ მოწვეული ლექტორი თათია მემარნიშვილი; თსუ მოწვეული ლექტორი დავით ანდღულაძე. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თუ სახელმძღვანელოს ავტორი. ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო გათვალისწინებული კურსების სწავლება ხორციელდება თსუ I კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13). აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის, პროექტორებითა და მიკროფონებით. რაც შეეხება ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ის მდებარეობს თსუ ჰუმანიტარულ

	მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე (თსუ მერვე კორპუსი, აუდ. 114 და 114ა). აღნიშნული ინსტიტუტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ელექტრონული წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით. თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893. ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია 15-20 სტუდენტის მიღება.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების, თემატური ვორკშოპების, სეზონური სკოლების, საველე სამუშაოების (ექსპედიციები, მივლინებები და სხვ.) ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ფართო საერთაშორისო კავშირები. პროფესორები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და ერაზმუს+-ის გაცვლით პროგრამებში. ამ უკანასკნელის ფარგლებში წაკითხულია ლექციების მოკლე კურსები დუბლინის უნივერსიტეტში, ტუშას უნივერსიტეტში და ა.შ. მათ გააჩნიათ მრავალი პუბლიკაცია უცხოურ ჟურნალებში. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა მთელ რიგ უცხოურ უნივერსიტეტებთან თუ კვლევით ცენტრებთან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს.